



სიცოცხლის დაზღვევის პირობები
საცალო საკრედიტო პროდუქტების კლიენტი ფიზიკური პირებისათვის

1. დაზღვევის საბანო

1.1. წინამდებარე დაზღვევა ითვალისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას დაზღვეულის ბუნებრივი მიზეზით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების შემთხვევაში.

2. სადაზღვევო ხელშეკრულება

2.1. მხარეებს შორის წინასწარ შეთანხმებული წინამდებარე დაზღვევის პირობები და სადაზღვევო პოლისის წარმოადგენს ერთიან სადაზღვევო ხელშეკრულებას;
2.2. სადაზღვევო ხელშეკრულება ძალაში შედის სადაზღვევო პოლისში მითითებული თარიღიდან.

3. დაზღვევაში მონაწილე მხარეები

3.1. მზღვეველი - სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი“, მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ 67
3.2. დამზღვევეი – შპს „სოლვა“, მისამართი: ცოტნე დადიანის 7, ოფისი 106 ა
3.3. დაზღვეული – დამზღვევის კლიენტი, საქართველოს რეზიდენტი ფიზიკური პირი. დამზღვევის კლიენტში იგულისხმება კლიენტი, რომელიც ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდში აიღებს სესხს დამზღვევისგან.
3.4. მოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება. წინამდებარე დაზღვევის პირობების მიხედვით პირველად მოსარგებლეს წარმოადგენს დამზღვევეი, (რომელსაც აუნაზღაურდება სესხის მიმდინარე ნაშთი), ხოლო მეორად მოსარგებლეს წარმოადგენს დაზღვეულის სამართალმემკვიდრე (რომელსაც აუნაზღაურდება სხვაობა სესხის საწყის და მიმდინარე თანხას შორის).
3.5. მოსარგებლის ცვლილება დაუშვებელია

4. სადაზღვევო შემთხვევა

4.1. დაზღვეულის ბუნებრივი მიზეზით ან უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალება ან უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი მკვეთრი ქმედობაუნარიანობის შეხლეუდა

5. დაზღვევის ბეობრაზიული ღირებულება/არმალი

5.1. წინამდებარე დაზღვევა მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე

6. სადაზღვევო თანხა

6.1. მაქსიმალური სადაზღვევო თანხა შეადგენს 5'000.00 (ხუთი ათასი) ლარს თითო დაზღვეულზე.
6.2. საწყისი სადაზღვევო თანხა შეადგენს კრედიტის აღების მომენტისათვის სესხის ძირითად თანხას. სადაზღვევო თანხა არის მუდმივი სესხის განმავლობაში.
6.3. სადაზღვევო ანაზღაურება წარმოადგენს თანხის ოდენობას, რომელსაც მზღვეველი უხდის ორივე მოსარგებლეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და უდრის სესხის საწყის თანხას, მაგრამ არაუმეტეს სადაზღვევო თანხისა.
6.4. სადაზღვევო შემთხვევა – 4.1 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, მე-II მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.
6.5. უბედური შემთხვევა – თვალსაჩინო გარე ფაქტორების ზემოქმედებით გამოწვეული გაუთვალისწინებელი შემთხვევა, მომხდარი დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, პოლისით განსაზღვრულ, რომელმაც განაპირობა დაზღვეულის მუდმივი მკვეთრი ქმედუნარიანობა გარდაცვალება.
6.6. უბედური შემთხვევით გამოწვეული მუდმივი მკვეთრი ქმედუნარიანობა - მხოლოდ უბედური შემთხვევით და რაიმე სხვა მიზეზისგან დამოუკიდებლად გამოწვეული სხეულის დაზიანება, რომელიც უბედური შემთხვევის დღიდან 6 კალენდარული თვის განმავლობაში გამოიწვევს ქმედუნარიანობის მუდმივ მკვეთრი დაკარგვას, როგორც ეს კანონმდებლობით არის განსაზღვრული.

7. სადაზღვევო პერიოდი / დაზღვეულის ასაკი

7.1. სადაზღვევო პერიოდი არის დროის შუალედი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა არის ძალაში.
7.2. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრება ცალკეული სასესხო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდით, იწყება სესხის ხელშეკრულების დაწყებისთანავე და წყდება მსესხებლის მიერ სასესხო დავალიანების დაფარვისთანავე.
7.3. დაზღვეულის ასაკი დაზღვევის მომენტისათვის არ უნდა იყოს 18 წელზე ნაკლები.
7.4. დაზღვევა ავტომატურად არ შეწყდება იმ შემთხვევაში თუ დაზღვევის განახლების მომენტისთვის დაზღვეულის ასაკი აღემატება 65 წელს.

8. სადაზღვევო პრემია და გადახდის პირობები

- 8.1 პრემია გადახდილ უნდა იქნას დამზღვევის მიერ სიცოცხლის დაზღვევის პოლისის გრაფიკის შესაბამისად.
- 8.2 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პრემიის გადახდა არ განხორციელდება 1 (ერთი) თვის განმავლობაში, დაზღვევა ითვლება გაუქმებულად.
- 8.3 დაზღვევის გაუქმების/დასრულების შემდეგ მომხდარი შემთხვევა ანაზღაურებას არ ექვემდებარება.
- 8.4 მზღვეველი უფლებამოსილია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, გააუქმოს სადაზღვევო პოლისი.
- 8.5 დამზღვევს არ აქვს უფლება გააუქმოს სადაზღვევო პოლისი შესაბამისი სესხის სრულად დაფარვამდე.

9. სადაზღვევო ანაზღაურებისათვის საჭირო პირობები

- 9.1 სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას (მას შემდეგ, რაც მოსარგებლისათვის ცნობილი გახდება სადაზღვევო შემთხვევის დადგომა) მოსარგებლე ან დაზღვეული აცნობებს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ და წარუდგენს ყველა აუცილებელ დოკუმენტაციას.
- 9.2 მზღვეველს შეუძლია მოითხოვოს დაზღვეულის გარდაცვალებასთან ან მუდმივ მკვეთრ ქმედობაუნარიანობის შეზღუდვასთან დაკავშირებული დამატებითი საბუთები ან/და თავად ჩაატაროს დამატებითი გამოკვლევები.
- 9.3 შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მზღვეველს უნდა გაეგზავნოს მოსარგებლის ან დაზღვეულის მიერ სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის განმავლობაში.
- 9.4 სადაზღვევო ანაზღაურებისათვის აუცილებელი პირობაა შემდეგი დოკუმენტაციის წარმოდგენა:
 - 9.4.1 სამედიცინო ცნობა, რომელშიც მითითებული იქნება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზები და დაავადების განვითარების სტადიები (ფორმა 106);
 - 9.4.2 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულის გარდაცვალება მოხდა სამედიცინო დაწესებულებაში, მაშინ გარდაცვალების ეპიკრიზის (ამონაწერი ავადმყოფობის ისტორიიდან) ასლი (ფორმა 100);
 - 9.4.3 დაზღვეული პირის უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალების ან ქმედუწარობის შემთხვევაში შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ შედგენილი აქტი.
 - 9.4.4 ქმედუწარობის შემთხვევაში – შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა
 - 9.4.5 სასესხო ხელშეკრულების ასლი
 - 9.4.6 ამონაწერი სასესხო ანგარიშიდან
 - 9.4.7 დაზღვეულის პირადობის მოწმობის ასლი
 - 9.4.8 მზღვეველი უფლებამოსილია გარდაცვალების მიზეზის დაზუსტების მიზნით ჩაატაროს/მემკვიდრეს მოითხოვოს დამატებითი საბუთები/მოკვლევა/ექსპერტიზა.

10. სადაზღვევო ანაზღაურების ვაჭები

10.1 დაზღვეულის გარდაცვალების ან ქმედუწარობის შეზღუდვის დადგენის შემთხვევაში და 9-ე მუხლში განსაზღვრული ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაციის მიღების შემდგომ მზღვეველი ერთი თვის ვადაში აუნაზღაურებს მოსარგებლეს წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად განსაზღვრულ სადაზღვევო ანაზღაურებას ან წერილობით განუცხადებს უარს ანაზღაურების გაცემაზე.

11. ბამონაკლისები

დაზღვეულის გარდაცვალების ან მუდმივი მკვეთრი ქმედუწარობის შემთხვევაში სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუ:

- 11.1 დაზღვეული გარდაიცვლება მისი ნარკოტიკული და ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ყოფნის დროს და/ან ნარკოტიკული ალკოჰოლური ნივთიერებების მოქმედების შედეგად;
- 11.2 დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზს წარმოადგენს თვითმკვლელობა / თვითდაშავება ან ასეთის მცდელობა;
- 11.3 დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული დაავადებით/ჯანმრთელობის მდგომარეობის მოშლით;
- 11.4 წარმოდგენილი დოკუმენტაციით არ დგინდება დაზღვეულის გარდაცვალების უშუალო მიზეზი;
- 11.5 დაზღვეული გარდაიცვლება მის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას.
- 11.6 დაზღვეულის გარდაცვალების მიზეზია ომში, სამოქალაქო ომში, აჯანყებასა და გაფიცვაში ნებაყოფლობითი მონაწილეობა.

- 11.7 დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია წინამდებარე დაზღვევით პირდაპირ ან არაპირდაპირ დაინტერესებული პირების მიერ.
- 11.8 დაზღვევა არ ვრცელდება ფსიქიურად დაავადებულ პირებზე, თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდება დამზღვევთან ურთიერთობის დამყარების მომენტის შემდგომ პირის ფსიქიურად დაავადების შემთხვევაზე.
- 11.9 დაზღვევა არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ანუ სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად, თუმცა ეს შეზღუდვა არ ვრცელდება დამზღვევთან ურთიერთობის დამყარების მომენტის შემდგომ პირის მითითებულ მდგომარეობაში ჩავარდნის შემთხვევაზე.
- 11.10 დაზღვეულის გარდაცვალება, რომელიც გამოწვეულია პირდაპირ/არაპირდაპირ, ნებაყოფლობით /არანებაყოფლობით რეგულარულად და/ან ხშირად მისი მონაწილეობით სპორტის სახიფათო /მაღალი რისკის მქონე სახეობებში, როგორცაა ბოქსი, კლდეზე /მთაზე ცოცვა ბაგირით ან მისგარეშე, საჰაერო სპორტი/ ფრენა (გარდა დაზღვეულის მგზავრის სტატუსით ლიცენზირებული ავიაკომპანიით მგზავრობისა ან დამსაქმებლის საკუთარი /დაქირავებული ვერტმფრენით მსესხებელთა ტრანსპორტირებისა), ყველა სახის პროფესიული სპორტი, დელტაპლანერიზმი, მოტორბოლა, დაივინგი, ელასტიური ტროსით ხტომა, კონკური, პარაშუტით ხტომა, ცხენებითროლა.
- 11.11 დაზღვეულის გაუფრთხილებლობა განსაკუთრებული საფრთხის მიმართ, გარდა შემთხვევებისა, როცა ეს არ ეხება სხვა პირის სიცოცხლის გადარჩენას
- 11.12 დაზღვეულის გატაცება გამოძალვის/გამოსასყიდის მიღების მიზნით; დაზღვეულის დაკავება; იმ საჰაერო ხომალდის, მატარებლის, ავტო- და წყლის ტრანსპორტის გატაცება, რომლითაც მგზავრობს დაზღვეული
- 11.13 დაზღვეულის გარდაცვალება მის მიერ განხორციელებული ტერორისტული აქტის შედეგად;
- 11.14 დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია ტერორიზმით (დაზღვეულის მიერ ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი ან ბირთვული მოწყობილობის დამზადება, გამოყენება-გავრცელებით; მყარი, თხევადი, აირიანი ქიმიური და ბიოლოგიური აგენტის გაუნვის, წყლის ან ჰაერის საშუალებით ინტოქსიკაციით, აგრეთვე საკვებისმიერი ინტოქსიკაციით; შენობა-ნაგებობის დაზიანებით და ტრანსპორტირებით;
- 11.15 დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია მაიონიზებული რადიაციით ან ბირთვული საწვავით და ნარჩენებით რადიოაქტიული დაბინძურება-აალებით; ბირთვული აფეთქების ნებისმიერი რადიოაქტიური, ტოქსიკური, ასაფეთქებელი ან სხვა საშიშია მოვლინებებით.
- 11.16 მზღვეულის მოთხოვნისამებრ სასესხო დავალიანების ასანაზღაურებლად აუცილებელი დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის და წინამდებარე ხელშეკრულების მე-11 თავში განსაზღვრული ერთ-ერთი პირობის დარღვევის შემთხვევაში.
- 11.17 სადაზღვევო შემთხვევის შესახებ შეტყობინების მზღვეველისათვის დაგვიანებით წარმოდგენის შემთხვევაში.